ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 342

16 ივლისი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ. №22-ში (ს/კ. №01.14.03.040.373) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში, მიღებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ. 204460957) და შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტის" (ს/ნ. 405204540) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების'' 35-ე მუხლისა და „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ. 204460957) და შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტის" (ს/ნ. 405204540) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 8 ივლისის №22.1072.1159 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ. 204460957) და შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტის" (ს/ნ. 405204540) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ. №22-ში (ს/კ. №01.14.03.040.373) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (2021 წლის 18 ნოემბრის განკარგულება №21.1611.1795) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (2021 წლის 19 ნოემბრის განკარგულება №549), გაცემული მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტის" (ს/ნ. 405204540) მიერ შესასრულებელი ვალდებულებების ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, თანხის გადახდის ნაწილში შესრულებულად ჩათვლისა და ამავე განკარგულებით (2021 წლის 19 ნოემბრის განკარგულება №549) გათვალისწინებული ხელშეწყობი ღონისძიებების ძალაში დატოვების თაობაზე შემდეგი პირობით:

ა) დაინტერესებულმა პირმა - შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტმა" (ს/ნ. 405204540) ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გადასახდელი თანხის გადახდისათვის დადგენილი ვადის გადაცილების (8 კალენდარული დღით) გამო, უზრუნველყოს 1710 (ათას შვიდას ათი) ლარის გადარიცხვა, „ცენტრ პოინტი ჯგუფის" დაუსრულებელ მშენებლობებთან

დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ (ს/ნ. 204460957), შპს ,,მარიჯანი (ს/კ. 205064712), შპს „გეითვეი ჰოლდინგი“ (ს/კ. 204531499), შპს „დაკიდებული ბაღები“ (ს/კ. 212272869), შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთს“ (ს/კ. 204514926), ამხანაგობა „ახალი დიღომი“ (ს/კ. 202389156), ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს და შპს „სიემსი“-ს (ს/ნ. 205292486) შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით (მასში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილებით) განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად;

ბ) შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტმა“ (ს/ნ. 405204540) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა, ამავე პუნქტში მითითებული მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნით შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადას;

გ) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამ განკარგულებით გათვალისწინებული პირობის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული განკარგულებით (2021 წლის 19 ნოემბრის განკარგულება №549), გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე